



**საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #081/18¹
გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა**

სოფიკო პეტრიაშვილი (სტუდენტი)

ფაქტები:

ადვოკატმა, სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო და ადმინისტრაციულ დავებზე წარმოადგენდა ორი სხვადასხვა კომპანიის ინტერესებს. კერძოდ, შპს X-ის პარტნიორის ინტერესებს სამოქალაქო დავაში და შპს Y-ის ინტერესებს უზენაეს სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაში, რის გამოც X-ის 20%-იანი წილის მფლობელი ლ.კ., რომლის მარწმუნებლის პროცესუალურ მოწინააღმდეგესაც წარმოადგენდა ადვოკატი, ეთიკის კომისიაში დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას მოითხოვს და ირწმუნება, რომ ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტი და ამასთანავე დამოუკიდებლობის პრინციპი, რადგან დაუშვა კომპრომისი სახელმწიფოსა და კლიენტის სასარგებლოდ.

სამართლებრივი შეფასება:

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 8.1 და აპკ-ის 6.1 მუხლების შესაძლო დარღვევებთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ნათელია, რომ დისციპლინური საქმის დეტალებიდან გამომდინარეობს შემდეგი: ლ.კ-მ მიმართა სასამართლოს შპს Y-სთვის გადაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების საკითხი ბათილად ეცნოთ. მოპასუხე მხარეს წარმოადგენდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო, ხოლო მესამე პირებად საქმეში ჩართული იყვნენ შპს X და შპს Y, რომლებმაც მოპასუხის მხარე დაიჭირეს. აღნიშნულიდან დასტურდება, რომ Y-ს ინტერესებს იცავდა ადვოკატი, ამასთანავე საბოლოო შეთანხმების საფუძველზე, რომელიც X-სა და Y-ს შორის შედგა, ცხადია რომ ამ ორ მეწარმე სუბიექტს საერთო ინტერესები ამომრავებდათ, შესაბამისად მათ შორის ინტერესთა კონფლიქტიც არ არსებობდა. ადმინისტრაციული წესით განხილვაში მყოფ დავაში ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს წარმოადგენენ ლ. კ. და მეორე მხრივ, კომპანიები - შპს X, რომლის დირექტორი იყო მ. წ. და შპს Y. სამეწარმეო დავაში ურთიერთდაპირისპირებული მხარეები არიან ლ. კ. და შპს X-ის მეორე მეწილე - მ. წ.. ადვოკატს ლ. კ.-ს ინტერესები არ დაუცავს არცერთ ეტაპზე და შესაბამისად, მათ შორის არ წარმოშობილა ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგია ვერ ადგენს, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ადვოკატის მხრიდან ინტერესთა კონფლიქტის დარღვევას, რადგან ის დავებში ფორმალურად წარმოადგენდა მხოლოდ განმცხადებლის მოწინააღმდეგე მხარეებს. დამატებითი შემთხვევა, როდესაც ადვოკატს შეიძლება წარმოეშვას ინტერესთა კონფლიქტი არის, როდესაც დირექტორი მოქმედებს კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგალითად აშკარაა, რომ მისი დადებული გარიგება მხოლოდ კომპანიისთვის ზიანის მიყენებას ისახავდა მიზნად. რადგან ადვოკატის კლიენტი არა კომპანიის დირექტორია, არამედ თავად კომპანია, ის ვალდებულია კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, არ დაეხმაროს დირექტორს ისეთი გარიგების დადებაში, რითაც საფრთხე შეექმნება კლიენტის ინტერესებს. ხოლო თუ ასეთი შემთხვევის შესახებ ადვოკატმა შეიტყო, მან უნდა გაარკვიოს პარტნიორების, როგორც საწარმოს ბენეფიციარი მესაკუთრეების ნება და შესაბამისად იმოქმედოს. როდესაც პარტნიორები ვერ თანხმდებიან, გადაამწყვეტია დომინანტი პარტნიორის ან

¹ <https://gba.ge/pdf/5d232a44dec05.pdf/081.18%2012.09.2018%20ar%20agdzvra.pdf>

პარტნიორთა ჯგუფის ნება. განსახილველ შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დირექტორი მ. წ. კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდა. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მ. წ. ამავდროულად კომპანიის 80% წილის მფლობელია და ამიტომ მით უფრო სავარაუდოა, რომ დირექტორი დომინანტი პარტნიორის ნების შესაბამისად მოქმედებს. ადმინისტრაციული დავა ჯერ დასრულებული არ არის, მაგრამ ქვედა ინსტანციებსაც არ დაუდგენიათ დირექტორის მიერ კომპანიის ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედება. ამ პირობებში ადვოკატს უნდა ემოქმედა კომპანიის დირექტორის მითითებების შესაბამისად, რითაც წინა პუნქტში მოცემული დასკვნა არ ქარწყლდება. შესაბამისად, კოლეგიას არ გაუჩნდა ვარაუდი, რომ ადვოკატმა ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.